

## 2017– 2018 წლის ათასწლეულის ინოვაციის კონკურსი გამოცხადდა 2017-12-01

ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს ორგანიზებით 2017– 2018 წლის ათასწლეულის ინოვაციის კონკურსი გამოცხადების ღონისძიება გაიმართა.

ღონისძიებას დაესწრნენ აშშ-ის ელჩი საქართველოში მისი ახმატებულება ბატონი იან კელი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი მიხეილ ჩხენკელი, საერთაშორისო და ადგილობრივი საგანმანათლებლო დონორი ორგანიზაციების და კერძო სექტორის წარმომადგენლები.

“ათასწლეულის ინოვაციის კონკურსი უკვე მეოთხე წელია წარმატებით ტარდება. კონკურსში 900-ზე მეტმა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა. მნიშვნელოვანია, რომ რამდენიმე პროექტით უკვე დაინტერესდა კერძო სექტორი. ასევე, აღსანიშნავია, რომ კონკურსის გამარჯვებული და მონაწილე გუნდები ხშირად სწავლას განაგრძობენ სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტში. კონკურსის შედეგები გვაჩვენებს, რომ ჩვენს ახალგაზრდებში არის მაღალი ინტერესი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების მიმართ, გვყავს ძალიან ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა გამომგონებელი.“ – მაგდა მადრადე, ათასწლეულის გამოწვევის ფონდი–საქართველოს აღმასრულებელი დირექტორი.

ღონისძიების ფარგლებში გასული წლების კონკურსის ფინალისტების ინოვაციური პროექტების გამოვენა გაიმართა და მოსწავლეებმა დამთვალიერებლებს საკუთარი ნამუშევრები გააცნეს .

„ახალგაზრდებისთვის ეს არის უნიკალური შესაძლებლობა, დახვეწონ და განავითარონ ინოვაციური იდეები და გამოგონებები; ცოდნის და გამოცდილების გაზიარების, მომავალი თანამშრომლობის მიზნით დაუკავშირდნენ მეცნიერებსა თუ მეწარმეებს. აღსანიშნავია, რომ ათასწლეულის ინოვაციის კონკურსი ხელს უწყობს რესურსებზე თანაბარი წვდომის შესაძლებლობას.“ – განაცხადა მიხეილ ჩხენკელმა.

ათასწლეულის ინოვაციის კონკურსი უკვე სამჯერ, 2014-2017 წლებში წარმატებით განხორციელდა და მასში მონაწილეობა მიიღო 227-მა გუნდმა საქართველოს ცხრა რეგიონიდან. 2015 და 2016 წელს, გამარჯვებულმა გუნდებმა: „მულტიკლიმატიზატორი“ (ახალციხე) და „სოლარი“ (თბილისი) მონაწილეობა მიიღეს კონრადის ფონდის ინოვაციების სამიტში, ნასას კენედის კოსმოსურ ცენტრში, აშშ-ში. 2017 წელს, სენაკის წმ. ალექსი შუშანინას გიმნაზიის მერვე კლასელთა გუნდმა „Smart Kids“ მონაწილეობა მიიღო NASA-ს კოსმოსური ცენტრის უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამაში, ჰიუსტონის კოსმოსურ ცენტრში.

ათასწლეულის ინოვაციის კონკურსი აშშ-ის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსთან თანამშრომლობით ხორციელდება.

### **კონკურსის პირობები:**

კონკურსში მონაწილეობის მიღება შესაძლებელია გუნდურად. გუნდში მოსწავლეების მინიმალური რაოდენობაა ორი, მაქსიმალური - ხუთი. კონკურსის პირობების მიხედვით, მონაწილე მოსწავლე დაბადებული უნდა იყოს 1999 წლის 2 აპრილიდან 2005 წლის 1 აპრილის ჩათვლით. გუნდმა ინოვაციური პროექტი უნდა წარმოადგინოს ხუთი საკონკურსო კატეგორიიდან ერთ-ერთში: კოსმოსი

და ავიაცია; ჯანდაცვა და კვება; კიბერტექნოლოგიები და უსაფრთხოება; გარემოს დაცვა, ენერჯეტიკა და კლიმატის ცვლილება; მობილური ტექნოლოგიები და აპლიკაციები.

**აპლიკაციების მიღების ბოლო ვადაა 2017 წლის 20 დეკემბერი.** დამატებითი ინფორმაციისთვის, დაუკავშირდით პროგრამის კოორდინატორს, ანა ბერძენაძეს, [mia@mcageorgia.ge](mailto:mia@mcageorgia.ge) | +995 322 428 528/120.

**აპლიკაციების მიღების ბოლო ვადაა 2017 წლის 20 დეკემბერი.**